პრეზიდენტ
ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი



მსახურება და მარადიული ცხოვრება

მხსნელი არის უანგარო მსახურების მაგალითი. მისი სრულყოფილი ცხოვრება მიძღვნილი იყო მამაზეციერისა და ყოველი მისი შვილის მსახურებისთვის. მამისა და ძის ერთობლივი მიზანი არის გვიბოძონ თითოეულ ჩვენგანს უკვდავების ძღვენი და მარადიული ცხოვრების ლოცვა-კურთხევანი. (იხ.მოსე 1:39).

იმისთვის, რომ მარადიული ცხოვრებისთვის ღირსნი ვიყოთ, იესო ქრისტეს გამოსყიდვის მეშვეობით უნდა შევიცვალოთ და კვლავ დავიბადოთ და განვიწმინდოთ ცოდვისგან. ბავშვები, 8 წლის ასაკის ქვემოთ, უცოდველნი არიან და გამოსყიდვის საშუალებით არიან გამოსყიდულნი. (იხ. მოსია 3:16, 21; მორონი 8:10–12).

ყოველი ჩვენგანისათვის, ვინც მიაღწია პასუხისმგებლობის ასაკს, არსებობს შესანიშნავი გეგმა, რომელიც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავიწმინდოთ ცოდვისგან და მოვემზადოთ მარადიული ცხოვრებისთვის. ეს მომზადება იწყება მღვდლობის უფლებამოსილების მატარებელი პირის მიერ ნათლობითა და სულიწმინდის მიღებით. შემდეგ ჩვენ უნდა ყოველთვის გვახსოვდეს მხსნელი და ვიცავდეთ მის მიერ მოცემულ მცნებებს.

მეფე ბენჯამინმა უთხრა თავის ხალხს მორმონის წიგნში იმ სიხარულის შესახებ, რომელიც მოდის იესო ქრისტეს გამოსყიდვის მეშვეობით ცოდვის მიტევებისგან მიღებული შეგრძნებისგან. შემდეგ მან ასწავლა მათ, რომ ცოდვების მიტევების შესანარჩუნებლად, მათ უნდა ასწავლონ შვილებს ერთმანეთის მსახურება და უნდა იყვნენ მაქსიმალურად გულუხვნი, რათა უპასუხონ მათ ირგვლივ მყოფთა მიწიერ და სულიერ მოთხოვნებს. (იხ. მოსია 4:11–16.)

მან ასევე გვასწავლა, რომ ყოველივე ამას გვეუბნებოდა იმისთვის, რომ სიბრძნე გვესწავლა; რათა მივმხდარიყავით, რომ ჩვენი მოყვასის მსახურებით ჩვენ მხოლოდ ჩვენს ღმერთს ვემსახურებით. (მოსია 2:17).

იესო დადიოდა, ასწავლიდა სახარებას და ქველმოქმედებდა (იხ. საქმეები 10:38). იგი კურნავდა ავადმყოფებს, აცოცხლებდა მკვდრებს. თავისი ძალით იგი აპურებდა ათასობით ხალხს, როცა ისინი მშივრები, საჭმლის გარეშე იმყოფებოდნენ. (იხ. მათე 14:14–21; იოანე 6:2–13). თავისი აღდგომის შემდეგ მან თავის რამოდენიმე მოციქულს საჭმელი მისცა, როცა ისინი გალილეის ზღვის სანაპიროზე მივიდნენ (იხ. იოანე

21:12–13). ამერიკის კონტინენტზე იგი კურნავდა ავადმყოფებს და რიგრიგობით ლოცავდა ბავშვებს (იხ.3 ნეფი 17:7–9, 21).

მოციქული იაკობი გვასწავლის, რომ სხვების მიმართ მსახურების სურვილი გამომდინარეობს ჩვენი უფლის მიმართ მადლიერების გამო:

მაგრამ ვინც ჩაუკვირდება თავისუფლების სრულყოფილ რჯულს და ასე განაგრძობს, მომსმენი და დამვიწყებელი კი აღარაა, არამედ საქმის მოქმედი. კურთხეული იქნება იგი თავის მოქმედებაში. . . .

წმიდა და შეუბღალავი სარწმუნოება მამის წინაშე ისაა, რომ მიხედო ქვრივ-ობლებს მათ გასაჭირში და შეურყვნელად დაიცვა თავისი სოფლისაგან“ (ია. კობი 1:25, 27).

თქვენი გაწმენდის აშკარა ნიშანია მხსნელის გამო სხვებისთვის მსახურების მზარდი სურვილი. შინა მასწავლებლისა და სტუმრად მოსული მასწავლებლის პროგრამებში მონაწილეობა სავალდებულოს ნაცვლად სასიამოვნო ხდება. თქვენ აღმოაჩენთ, რომ უფრო ხშირად გამოხატავთ სურვილს იყოთ ადგილობრივ სკოლაში მოხალისე ან თქვენს სამეზობლოში გაჭირვებულებს ეხმარებით. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ შეიძლება ძალიან ცოტა ფული გქონდეთ იმისთვის, რომ გაჭირვებულებს გასცეთ, გიჩნდებათ სურვილი მეტი იქონიოთ, რათა შეგეძლოთ მეტის გაცემა (იხ. მოსია 4:24). თქვენ ხედავთ, რომ დიდი მონდომებით ემსახურებით შვილებს და უჩვენებთ მათ სხვებისთვის მსახურების მაგალითს.

როცა იცვლება თქვენი ბუნება, გებადებათ სურვილი ემსახუროთ სხვებს ყველანაირი აღიარების გარეშე. მე ვიცნობ მხსნელის მოწაფეებს, რომლებმაც გაიღეს როგორც ფულადი ასე მსახურების დიდი მსხვერპლი და მიიღეს მტკიცე გადაწყვეტილება, რომ არავის, ღმერთისა და მათი შვილების გარდა, არ ეცოდინებოდა ამის შესახებ. ღმერთმა დაუფასა ეს მსახურება და დალოცა ისინი ამ ცხოვრებაში, და იგი დალოცავს მათ მარადიულ ცხოვრებაში, რომელიც წინ ელით (იხ. მათე 6:1–4; 3 ნეფი 13:1–4).

როცა თქვენ იცავთ მცნებას – ემსახუროთ სხვებს (იხ.მათე 22:39), თქვენში იცვლება ამპარტავნობის გრძნობა. მხსნელმა მიუთითა თავის მოციქულებს, როდესაც ისინი კამათობდნენ იმაზედ, თუ ვინ იყო მათ შორის უფრო დიდი. მან თქვა:

„ნურც წინამძღვარს გიწოდებენ, ვინაიდან წინამძღვარი ერთი გყავთ თქვენ – ქრისტე.

„უდიდესი თქვენს შორის თქვენი მსახური იყოს“ (მათე 23:10–11).

მხსნელი გვასწავლის, როგორ უნდა ვისწავლოთ სხვების მსახურება. მან სრულყოფილად იმსახურა, ჩვენ მისგან უნდა ვისწავლოთ მსახურება ისე, როგორც მან ისწავლა ეს, ხაზი ხაზზე (იხ. მოძღვრება და აღთქმები 93:12–13). სხვებისთვის გაწეული მსახურებით ჩვენ უფრო ვემსგავსებით მას. ჩვენ მთელი გულის ძალით ვლოცულობთ იმისთვის, რომ შევიყვაროთ მტერი ისე, როგორც მას უყვარს (იხ. მათე 5:43–44; მორონი 7:48). მაშინ ალბათ საბოლოოდ შევძლებთ გავხდეთ ღირსნი მარადიული ცხოვრებისა უფალთან და მამაზეციერთან ერთად.

მე გპირდებით, რომ ჩვენ შევძლებთ უფრო სრულყოფილად ვემსახუროთ სხვებს მაშინ, როცა მივყვებით მხსნელის სწავლებებსა და მაგალითს.

ამ გზავნილის სწავლება

უხუცესმა მ. რასელ ბალარდმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან შეგვაგულიანა ვილოცოთ, მოგვეცეს შესაძლებლობა ვემსახუროთ სხვებს : „ყოველ დილით ლოცვისას, სთხოვეთ მამაზეციერს დაგაკვალიანოთ, რათა გამოიცნოთ ის საშუალებები, რომლებიც გეძლევათ იმისთვის, რომ ემსახუროთ მის უძვირფასეს შვილებს. შემდეგ გააგრძელეთ დღე. . . და იპოვეთ ვინმე, ვისაც დახმარება სჭირდება“ (“Be Anxiously Engaged,” *Ensign* ან *ლიახონა,* ნოემბერი 2012, 31). მოიპატიჟეთ ისინი, ვისაც სტუმრობთ, დასახონ მიზნად ყოველ დილით ილოცონ იმისთვის, რათა გაუჩნდეთ მსახურების საშუალება და შემდეგ დღის განმავლობაში ეძიონ ამ საშუალებებს.

ახალგაზრდები

მის ლოცვაზე პასუხი

სიფლი ხუმალოს მიერ

ერთხელ მე სხვა რწმენის ადამიანი მეწვია. მე ჩვეულებრივ მარტო ვსწავლობ წმინდა წერილებს და იმ საღამოს ისინი თან მქონდა წაღებული. მე შთაგონებით დავპატიჟე ეს გოგონა, შემომიერთდეს წმინდა წერილის შესწავლაში, მაგრამ შემეშინდა და მარტომ დავიწყე მათი შესწავლა. მე ვიცოდი, რომ უგულვებელვყავი სულიწმინდის კარნახი. რამოდენიმე წუთის შემდეგ მე ფრთხილად ვკითხე მას: „გინდა, ერთად ვისწავლოთ წმინდა წერილი“? „კი“, - ყოყმანის გარეშე მიპასუხა მან.

შემდეგ ჩვენ მორმონის წიგნი წავიკითხეთ ერთად. მან რამოდენიმე შეკითხვა დამისვა და მე ვიგრძენი, როგორ მიმიძღოდა სული წმინდა პასუხის გაცემის დროს. მე მორმონის წიგნის ჯეშმარიტება დავამოწმე, რის შემდეგაც მან მითხრა: „ მთელი დღე ვტიროდი და მეშინოდა. ზუსტად იმის წინ, რაც შენ მთხოვე, ერთად წაგვეკითხა წმინდა წერილები, მე ვილოცე და ვთხოვე ღმერთს დამხმარებოდა. ახლა მე ბევრად უკეთ ვგრძნობ თავს. გმადლობთ“.

უფალმა გამომიყენა როგორც ლოცვაზე პასუხის გაცემის და გაჭირვებაში მყოფი მისი ერთ-ერთი შვილისათვის მსახურების იარაღი. მე ვიცი, რომ სული წმინდის კარნახი წარმოადგენს ბრძენი, დიდებული მამაზეციერის მითითებებს. როცა შიშს გვერდზე გადავდებთ, ჩვენ ღმერთს ნებას ვაძლევთ ჩვენი მორჩილების საშუალებით გამოამჟღავნოს თავისი ძალა.

ავტორი ცხოვრობს გაუტენგში,სამხრეთ აფრიკა.

ბავშვები

ეძიეთ მსახურების გზები

თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ არჩევანი – მიჰყვეთ ქრისტეს და ემსახუროთ სხვებს. დახატეთ სურათი, რომელზედაც თქვენ ოჯახის წევრს ან მეგობარს ემსახურებით და დადეთ ეს სურათი ისეთ ადგილას, სადაც იგი შეგახსენებთ იმას, რომ ყოველდღე უნდა აკეთოთ სიკეთე.

© 2014 Intellectual Reserve, Inc. მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი *First Presidency Message, March 2014.* Georgian.10863 131

იესო ქრისტეს ღვთიური მისია: სამყაროს სინათლე

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ, რას გაუზიარებთ ამ მასალიდან სხვებს. როგორ ზრდის მხსნელის მისიისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვისაც თქვენ სტუმრობთ შინა მასწავლებლის პროგრამით? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ზოგიერთ ასპექტს.

როცა მივალთ იმის ცოდნამდე, რომ იესო ქრისტე არის სამყაროს სინათლე, ჩვენ გავზრდით საკუთარ რწმენას მასში და სხვებისთვის ვიქცევით სინათლედ. ქრისტე, როდესაც თავისი როლის შესახებ მოწმობდა, ამბობდა, რომ იგი იყო ჭეშმარიტი სინათლე, რომელიც ამ ქვეყნად მოვლენილ ყოველ კაცს [და ქალს] გაანათებს (მოძღვრება და აღთქმები 93:2) და გვთხოვა, მაღლა აგვეწია [მისი] სინათლე, რათა მას მთელი სამყარო გაენათებინა(3 ნეფი 18:24).

ჩვენმა წინასწარმეტყველებმა ასევე დაამოწმეს ქრისტეს სინათლის შესახებ. პრეზიდენტმა ჰენრი ბ. აირინგმა, პირველი პრეზიდენტობის პირველმა მრჩეველმა, თქვა: „ყოველთვის, როცა აკეთებთ არჩევანს ქრისტეს მსგავსად იცხოვროთ, თქვენი მოწმობა განმტკიცდება. დადგება დრო, როცა თქვენ თვითონ გეცოდინებათ, რომ იგი არის სამყაროს სინათლე. . . . თქვენს ცხოვრებაში მყოფი ქრისტეს სინათლე აირეკლება სხვებზე“.[1]

უხუცესმა ქუენტინ ქუქი თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან ასე თქვა იმის შესახებ, რომ იყო სამყაროსთვის სინათლე: „ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ოჯახები და ვიდგეთ წინა რიგებში ყველა იმ ადამიანებთან ერთად, რომლებსაც გააჩნიათ კეთილი ნება აკეთონ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, ჩვენს საზოგადოებაში სინათლის, იმედისა და მორალის შესანარჩუნებლად“.[2]

წმინდა წერილიდან

იოანე 8:12; მოძღვრება და აღთქმები 50:24; 115:5

ჩვენი ისტორიიდან

უკანასკნელი დღეების წმინდან ქალებს დღესაც მაღლა უჭირავთ ეს სინათლე.

ჩინეთში, ჰონკონგის ცათაბჯენის მე-80 სართულზე, მარტოხელა ფიზიკური ნაკლის მქონე დამ, რომელიც თავისი ოჯახიდან ერთადერთი უკანასკნელი დღეების წმინდანი იყო, შექმნა სახლი, რომელიც თავშესაფარს ჰგავდა, სადაც იგი და მისი სტუმრები შეძლებდნენ სული წმინდის ზეგავლენის შეგრძნებას. მას წმინდა წერილი, მოწყალების საზოგადოების სახელმძღვანელოები და ჰიმნების წიგნი ყოველთვის ახლოს ჰქონდა. იგი ტაძარშიც კი წავიდა, თავისი წინაპრებისთვის წესჩვეულებების ჩასატარებლად.[3]

ბრაზილიაში ერთ-ერთმა დედამ შვილები სახარების სინათლეში გაზარდა. მის წითელი აგურისაგან აშენებულ სახლში სულ დაწყებითი საზოგადოების სიმღერები ისმოდა, კედლებზე ლიახონადან ამოღებული ტაძრების, ღვთის წინასწარმეტყველებისა და მხსნელის სურათები იყო. მან და მისმა მეუღლემ დიდი მსხვერპლი გაიღეს ტაძარში წასვლისვის, რათა მათი შვილები აღთქმაში დაბადებულიყვნენ. იგი გამუდმებით ლოცულობდა იმაზედ, რომ უფალი დახმარებოდა მას აღეზარდა შვილები სახარების სინათლეში, ჭეშმარიტებასა და სიმტკიცეში.[4]

შენიშვნები

1. ჰენრი ბ. აირინგი, “A Living Testimony,” *Ensign* ან *ლიახონა,* მაისი 2011, 128.
2. ქუენტინ ლ. ქუქი, “Let There Be Light!” *Ensign* ან *ლიახონა,* ნოემბერი 2010, 30.
3. იხილეთ *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 163–64.
4. იხილეთ *Daughters in My Kingdom,* 164.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. იმსჯელეთ იმაზე, თუ რას ნიშნავს დღეს იყო სინათლე მსოფლიოსთვის.

2. იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ დაგეხმარებათ ქრისტეს სინათლის გაყოლა სირთულეების გადალახვაში.

© 2014 Intellectual Reserve, Inc. მიერ ყველა უფლება დაცულია.
დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი: *Visiting Teaching Message, March 2014.* Georgian. 10863 131